ხელშეკრულება
საქონლის მიწოდებაზე N 04

ქ. ქუთაისი 18 თებერვალი 2019წ.

ერთი მხრივ, სსიპ ქ. ქუთაისის სამოსიანი ლიცეუმი, ს/კ 212907513 მის.: გამსახურდიას 13ა, წარმოდგენილი მის აღმინ. სამსახ. იერმოლ. მზეჭალა ლასარეიშვილი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", და მეორეს მხრივ **შპს „ორგსერვისი", ს/კ:212693851** იურიდიული მისამართი: ქუთაისი. ჭავჭავაძის ქ. #51/2ა, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ხვიჩა ნემსაძის** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ერთად წოდებული „მხარეები", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1 ამ ხელშეკრულების შესაბამისად შემსყიდველი ავალებს და მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს მოახდინოს თავისი სახელით იურიდიული და სხვა მოქმედებები საქონლის შემსყიდველისათვის მისაწოდებლად. შემსყიდველი ვალდებულებას იღებს გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება:

2.1 მისაწოდებელი საქონლის ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს (თანმდევი ხარჯების ჩათვლით).

3. მიწოდების ადგილი და პირობები:

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ქუთაისი. ჭავჭავაძის ქ. #51/2ა,

3.2 საქონლის მიწოდება ხდება მოთხოვნის შესაბამისად, ყველა საჭირო დოკუმენტაციის თანხლებით.

4. ანგარიშსწორების პირობები:

4.1 საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება სასაქონლო ზედნადებისა და სხვა დოკუმენტაციის გაფორმებიდან _____5_____ დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს როგორც **ნაღდი** ასევე **უნაღდო** ანგარიშსწორებით ლარებში.

5. მხარეთა ვალდებულებები:

5.1 მიმწოდებლის ვალდებულებები:

5.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.1.2 მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის გადაცემაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის საქონლის გადაცემის მომენტიდან. საქონლის გადაცემასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

5.1.3 თუკი მიწოდებულ საქონელს აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი, გამოწვეული არა შემსყიდველის მიერ, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს ნივთი თავისი ხარჯით.

5.2 შემსყიდველის ვალდებულებები:

5.2.1 შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი თანმხლები დოკუმენტაციის შესაბამისად;

5.2.2 მიმწოდებლისაგან საქონლის მიღებისას შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს მისი დასახელება, რაოდენობა და ხარისხი.

5.2.3 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა:

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 ერთ მხარეს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან;

7.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს _____31.12.2019_____მდე.

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა:

8.1 თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება, რის შესახებ 30 დღით ადრე წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

8.2 მხარე, რომელიც ვადამდე ადრე აცხადებს უარს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე უფარავს მეორე მხარეს ზარალს, რომელიც მას მიადგება ამ ხელშეკრულების შეწყვეტის გამო.

9. ფორს-მაჟორი:

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიან ან ნაწილობრივ შესრულების პასუხისმგებლობიდან დაუძლეველი ძალების არსებობის (ფორს-მაჟორი) შემთხვევაში, როგორიცაა: სტიქიური უბედურება, ხანძარი, წყალდიდობა, აჯანყება, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი, გაფიცვა და სახელმწიფო ორგანოების ნორმატული მითითება, რომლებიც აუცილებელია ერთ-ერთი მხარისათვის, წარმოიშვა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ და მოქმედებს ვალდებულებათა შესრულებაზე.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.3 დაუძლეველი ძალის წარმოშობის შემთხვევაში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ამ ძალის მოქმედების მთელი პერიოდით. აღნიშნულის გამო ვალდებულებების ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შეუსრულებლობის დროს თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხუთ დღეში მოახდინოს შესრულებული მომსახურების ანაზღაურება.

10. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი:

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება:

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. დავის განხილვის წესი:

12.1 ყველა უთანხმოება, რომელიც ამ ხელშეკრულების ფარგლებში წარმოიშობა მხარეებს შორის წყდება ურთიერთმოლაპარაკებით.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს.

13. სხვა პირობები:

13.1 ამ ხელშეკრულების ყველა დამატებები ან ცვლილებები ძალაშია, თუ ისინი გაფორმებულია წერილობით და მას ხელს აწერენ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი არის მისი განუყოფელი ნაწილი.

13.2 აღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ინახება „შემსყიდველთან" ხოლო მეორე „მიმწოდებელთან".

14. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი": სსიპ. ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ს/კ 212907513, იმერეთის სამხარეთა ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკა-ლაბორატორიები, მის. კ. გამსახურდიას 43ა. სახელმწიფო ხაზინა

ბ.ა.

„მიმწოდებელი": შპს „ორგსერვისი", ს/კ: **N 212 693 851**, დირექტორი ხვიჩა ნემსაძე
მის/იურ: ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. **N51/2ა**, ტელ: **032 204-11-00**
ბ.ა. პროკრედიტ ბანკი GE28PC0133600100067722

30192121 - ბურთულიანი კალმები
30192125 - მარკერები
22800000 - ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები
22850000 - ბაინდერები და მონათესავე აქსესუარები
30190000 - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები
31440000 - ელემენტები
22815000 - რვეულები
22816000 - ქაღალდების კინძულა
22851000 - ბაინდერები
22852000 - საქაღალდეები
22853000 - ფაილების ჩასადებები
30199000 - ქაღალდის საკანცელარიო ნივთები
30192000 - საკანცელარიო ნივთები
22816100 - ბლოკნოტები
22816300 - წებოვანი ქაღალდები
22852100 - ფაილები
30141200 - მაგიდის კალკულატორები
30192100 - საშლელები
30192700 - საკანცელარიო ნივთები
30193900 - ფურცლის ვერტიკალური დამჭერები
30234600 - ფლეშმეხსიერება
30197620 - საწერი ქაღალდი
30197630 - საბეჭდი ქაღალდი
30199230 - კონვერტები
30192110 - მელანი
30192130 - ფანქრები
30197110 - სტეპლერის ტყვიები
30197120 - ჭიკარტები
30197130 - საკანცელარიო სარჭები
30197210 - რგოლებიანი სწრაფჩამკერები/ბაინდერები
30192131 - მექანიკური ფანქრები

„შემსყიდველი“: სსიპ ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი ს/კ 212907513, იურიდიული მისამართი [illegible] [illegible], ქ. [illegible] 43ა. სახელმწიფო ხაზინა

ბ.ა. [illegible]

„მიმწოდებელი“: შპს „ორგსერვისი“, ს/კ: **N 212 693 851**, დირექტორი ხვიჩა ნემსაძე
მის/იურ: ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. N51/2ა, ტელ: 032 204-11-00
ბ.ა. პროკრედიტ ბანკი GE28PC0133600100067722